საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 32 32-06-4-201805031713
03/05/2018

დადგენილება N32
2018 წლის 2 მაისი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი.

მუხლი 2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს:

ა) საკურორტო და რეკრეაციულ ზონებში:

ა.ა) სააგარაკო და ინდივიდუალური სახლებისათვის-1 ლარი;

ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) -1 ლარი;

ა.გ) სამრეწველო ობიექტი-5 ლარი;

ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეზილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის - 0.50 ლარი;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე:

ბ.ა) კომერციული დანიშნულების ობიექტებისათვის-1 ლარი;

ბ.ბ) ინდივიდუალური სახლებისათვის-0,50 ლარი;

გ) მოცულობითი ნაგებობებისათვის (მიწისზედა და მიწისქვეშა)-0.50 ლარი;

დ) ობიექტის დემონტაჟი-0,50 ლარი;

ე) ხაზოვან ნაგებობებზე:

ე.ა) I, II , III კატეგორიის ნაგებობებზე -0.30 ლარი;

ე.ბ) IV,კატეგორიის ნაგებობებზე -0.50 ლარი;

ვ) მოცულობითი ნაგებობები-0.50 ლარი.

მუხლი 3. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 4. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის N47 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 24/12/2014 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016205).

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო